გამოცემულია საქართველოს კულტურის ძეგლთა
დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით

შემდგენელი: თამარ აბრამიშვილი

რედაქტორები: თამარ აბრამიშვილი
შადიმან შამანაძე

© ყველა უფლება დაცულია

უაკ (UDC) 894.631-1
ბ-911
ISBN 99928-0-812-8

K 252256
3

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედვარდ ოლბი

რა მოხდა ზოოპარკში

მოქმედი პირები

პიტერი — ორმოციოდე წლის მამაკაცია. უკეთია რქის ჩარჩოიანი სათვალე, არც ძალიან მსუქანია და არც ძალიან გამხდარი, არც ძალიან მიმზიდველი და არც ძალიან შეუხედავი; აცვია ტვიდის კოსტუმი და ეწევა ჩიბუხს. თუმცა შუახნისაა, ახალგაზრდულად გამოიყურება.

ჯერი — ოცდაათ წელს გადაცილებული მამაკაცია. ღარიბულად არა, მაგრამ დაუდევრად აცვია; ოდესღაც გამართულ და დაკუნთულ ტანს სიმსუქნე შეჰპარვია; ამჟამად მასზე ვეღარ იტყვით, სიმპათიურიაო, მაგრამ უწინდელი პეწის კვალი კვლავაც ნათლად ეტყობა. აშკარაა, რომ გარეგნული მომხიბვლელობის დაკარგვა, გარყვნილებას, ან გადაჭარბებულ სმა-ჭამას კი არ გამოუწვევია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს, არამედ უზომო დაღლილობას.:

მოქმედების ადგილი: ცენტრალური პარკი, ზაფხული, კვირადღის შუადღე; ახლანდელი დრო. სცენის ორივე მხარეს, მაყურებლის პირდაპირ, ბაღის ორი გრძელი სკამი დგას, უკან ფოთლები, ხეები და ცა მოჩანს. პიტერი სკამზე ზის.
სურათი: ფარდა იხსნება. პიტერი ხელმარჯვნივ სკამზე ზის და კითხულობს; შემდეგ იხსნის სათვალეს, წმენდს მას და აგრძელებს კითხვას. შემოდის ჯერი.

ჯერი: სწორედ ახლა ზოოპარკიდან მოვდივარ. (პიტერი ყურადღებას არ აქცევს). ზოოპარკში ვიყავი-მეთქი. მისტერ, ზოოპარკში ვიყავი!
პიტერი: რაო?... უკაცრავად... მე მეუბნებით?
ჯერი: ზოოპარკში ვიყავი, იქიდან ფეხით წამოვედი და ახლა აქა ვარ, ესე იგი, ჩრდილოეთისკენ წამოვედი?
პიტერი *(საგონებელში ჩავარდა)*: ჩრდილოეთისკენ? ჰო... ალბათ... დამაცადეთ, დავფიქრდე...
ჯერი *(თითს დარბა ზისკენ იშვერს)*: ეს მე-5 ავენიუა?
პიტერი: მართალი ბრძანდებით, სწორედ ასეა.
ჯერი: აი ის რა ქუჩაა, მას რომ კვეთს, აი, იქ, მარჯვნივ?
პიტერი: ეგ 74-ეა.
ჯერი: ზოოპარკი კი 76-ე ქუჩასთანაა; ესე იგი, არ შევმცდარვარ, გეზი მართლაც ჩრდილოეთისკენ მეჭირა.
პიტერი *(ერთი სული აქვს კვლავ წიგნს მიუბრუნდეს)*: დიახ, ალბათ ასეა.
ჯერი: ჩვენი ბებერი, ძველი ჩრდილოეთი.

პიტერი *(თითქმის გაუაზრებლად)*: დიახ.

ჯერი *(მცირე პაუზის შემდეგ)*: დიახ, ოღონდ მართლა „ჩრდილოეთ-ისკენ“ კი არა...

პიტერი: რასაკვირველია - არა, უბრალოდ, ჩრდილოეთის მიმართულება ვიგულისხმე, ანუ ჩრდილოეთით მდებარე.

ჯერი *(უყურებს პიტერს, რომელიც ჩიბუხს უკიდებს და ცდილობს, როგორმე თავიდან მოიშოროს ჯერი)*: თქვენ რა, ფილტვების კიბო გინდათ, აიკიდოთ?

პიტერი *(ცოტა არ იყოს გაღი ზიანებული ახედავს, მაგრამ მერე ილიმება)*: არა, სერ, ამით ვერ აიკიდებ.

ჯერი: იქნებ ასეც იყოს, მაგრამ პირის ღრუში მაინც ვერ აცდები პრობლემებს და მერე მთელი ცხოვრება ის უნდა ატაროთ, რასაც ფროიდი ატარებდა, როცა ლამის ნახევარი ყბა ამოუღეს. რა ჰქვია იმ რკინებს?

პიტერი *(ყოყმანობს)*: პროთეზი?

ჯერი: სწორედაც! პროთეზი. განათლებული კაცი ჩანხართ; ექიმი ბრძანდებით?

პიტერი: არა, უბრალოდ, სადღაც ამოვიკითხე, მგონი ჟურნალ „თაიმსში“. *(უბრუნდება წიგნს)*.

ჯერი: საკმაოდ სერიოზული ჟურნალია და რეგვენებზე არაა გათვლილი.

პიტერი: მეც ასე მგონია.

ჯერი *(პაუზის შემდეგ)*: რა კარგია, რომ ის მე-5 ავენიუა.

პიტერი *(დაბნეულად)*: დიახ.

ჯერი: პარკის დასავლეთი მხარე რატომღაც არ მომწონს.

პიტერი: მართლა? *(შემდეგ ამბობს ძალიან ფრთხილად, მაგრამ მეტი ინტერესით)*. რატომ?

ჯერი *(უდიერად)*: რა ვიცი.

პიტერი: დიახ. *(კვლავ წიგნს უბრუნდება)*.

ჯერი *(დგას და რამდენიმე წამის განმავლობაში მისჩერებია პიტერს; ეს უკანასკნელი ბოლოს და ბოლოს ასწევს თავს, დაბნეულია)*: ცოტა ხომ არ გველაპარაკა? მაგრამ, თუ ხელს გიშლით...

პიტერი (აშკარად უკმაყოფილოა): არა... არა...

ჯერი: კი, ასეა, ნამდვილად ხელს გიშლით.

პიტერი *(თავს ანებებს წიგნსა და ჩიბუხს და ილიმება)*: არა, მართლა არა.

ჯერი: დიახაც, გიშლით.

პიტერი *(ილებს საბოლოო გადაწყვეტილებას)*: ასე არ არის, გარწმუნებთ.

ჯერი: კარგი დღეა... არა?

პიტერი *(ყოველგვარი სურვილის გარეშე ახედავს ცას)*: დიახ, მშვენიერი.

ჯერი: ზოოპარკში ვიყავი.

პიტერი: მგონი, ეგ უკვე მითხარით, ასე არაა?

ჯერი: ამას უკვე ხვალ შეიტყობთ გაზეთებიდან, ან დღეს საღამოს ტელევიზიით. ტელევიზორი ხომ გაქვთ?

პიტერი: ორი; ერთი — ბავშვებისთვის.

ჯერი: ესე იგი, დაქორწინებული ხართ!

პიტერი (*ფრიად ნაამები სახე აქვს, ამბობს ღირსების გრძნობით*): რასაკვირველია.

ჯერი: რატომ „რასაკვირველია“? ეს ხომ კანონი არ არის.

პიტერი: ცხადია, არა... სულაც არა...

ჯერი: ესე იგი, ცოლი გყავთ.

პიტერი *(შეწუხებულია, რომ ურთიერთობას ვერ ამყარებს)*: დიახ!

ჯერი: და შვილებიც.

პიტერი: დიახ, ორნი.

ჯერი: ბიჭები?

პიტერი: არა, ორივე გოგონაა.

ჯერი: მაგრამ ბიჭზე ოცნებობდით.

პიტერი: ალბათ ყველა კაცს უნდა ვაჟი ჰყავდეს, მაგრამ...

ჯერი *(ოდნავ დამცინავია)*: მაგრამ არ გამოვიდა, არა?

პიტერი *(გაღი ზიანებული კილო აქვს)*: ეგ არ მიგულისხმია.

ჯერი: მეტის ყოლას კი არ აპირებთ.

პიტერი *(ფიქრმა წაიღო)*: არა, მეტის არა *(მერე თითქოს გამოფხიზლდაო, გაღი ზიანებული ეუბნება)* თქვენ რა იცით? როგორ მიხვდით?

ჯერი: თუნდაც იმით, როგორ გაქვთ ფეხი ფეხზე გადადებული, ან რაღაცით თქვენს ხმაში, ან იქნებ, სულაც ისე მივხვდი. რა, ცოლს არ უნდა?

პიტერი *(გაცეცხლებულია)*: თქვენ არავინ გეკითხებათ *(პაუზა)*. გასაგებია? *(ჯერი თავს უქნევს და პიტერიც უფრო მშვიდად განაგრძობს)*. მართალი ბრძანდებით, მეტი აღარ გვეყოლება.

ჯერი *(წყნარად)*: ასე იმსხვრევა ოცნებები.

პიტერი *(მიმტევებლურად)*: ჰო, ალბათ ასეა.

ჯერი: აბა, სხვა რა?

პიტერი: ზოოპარკზე ამბობდით რაღაცას... მაინც რას წავიკითხავ, ან რას ვნახავ...?

ჯერი: მოგვიანებით გეტყვით, ახლა კი, რამდენიმე შეკითხვა რომ დაგისვათ, ხომ არ გეწყინებათ?

პიტერი: არა, რას ბრძანებთ!

ჯერი: ალბათ გაინტერესებთ, რას გადამეკიდაო. საქმე ის არის, რომ იშვიათად ვინმეს გამოველაპარაკო, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: ერთი კათხა ლუდი, თუ შეიძლება, ან ხომ ვერ მეტყვით, სად არის აქ ტუალეტი, ან როდის იწყება კინოსეანსი, ან ხელები დაიმოკლე, ბიჭო, ან სხვა ამისთანა; ხომ გესმით ჩემი...

პიტერი: სიმართლე გითხრათ, არა...

ჯერი: ხანდახან ისე მინდა ველაპარაკო ვინმეს - ნამდვილ ლაპარაკს ვგულისხმობ - და რაც შეიძლება მეტი გავიგო ადამიანზე.

პიტერი *(ოდნავ იღიმება, მაგრამ თავს კვლავაც უხერხულად გრძნობს)*: ჰოდა, დღეს მე ვარ ის თაგვი, რომელზეც ცდას ატარებთ, არა?

ჯერი: ასეთი მზიანი კვირადღის შუადღეს, აბა, რა სჯობს წესიერ, დაოჯახებულ ადამიანთან საუბარს, რომელსაც ორი ქალიშვილი ჰყავს და ალბათ, ერთი ძაღლიც, არა? *(პიტერი უარყოფის ნიშნად თავს აქნევს)*. არა? მაშინ ორი ძაღლი *(პიტერი კვლავ უარის ნიშნად თავს აქნევს)*. არა? ძაღლები საერთოდ არ გყავთ? *(პიტერი დანანებით გადააქნევს თავს)*. რა საწყენია! არადა, ცხოველების მოყვარულ ადამიანს ჰგავხართ. არც კატები გყავთ? *(პიტერი დასტურის ნიშნად უხალისოდ უქნევს თავს)*. ესე იგი, კატები! მაგრამ შეუძლებელია, თქვენ მოგსვლოდათ თავში: ალბათ ცოლს და ქალიშვილებს, ასეა? *(პიტერი თავის ქნევით უდასტურებს)*. კიდევ არის რამე ისეთი, რაც უნდა ვიცოდე?

პიტერი *(ჩახველება ესაჭიროება)*: არის. ორი თუთიყუში გვყავს, გოგონებისთვის.

ჯერი: ჩიტები.

პიტერი: გოგონებს ისინი გალიაში ჰყავთ, თავის ოთახში.

ჯერი: რამე დაავადება ხომ არ სჭირთ? ჩიტებს ვგულისხმობ.

პიტერი: არა მგონია.

ჯერი: ძალიან ცუდი; რამე რომ სჭირდეთ, გალიიდან გამოუშვებდით, კატები კი შეჭამდნენ მათ და დაიხოცებოდნენ *(პიტერი დაბნეული შესცქერის ცოტა ხანს და მერე იცინის)*. აბა, კიდევ რას მეტყვით? ნეტავ რას აჭმევთ ამხელა ჯგროს?

პიტერი: მე... მე ერთ პატარა გამომცემლობაში აღმასრულებელ თანამდებობაზე ვარ. სახელმძღვანელოებს გამოვცემთ.

ჯერი: მშვენიერია; ძალიან კარგია; შემოსავალი რამდენი გაქვთ?

პიტერი *(ჯერ კიდევ მხიარულად)*: მომისმინეთ!..

ჯერი: კარგი ერთი! მითხარით!

პიტერი: კეთილი, დაახლოებით 18000 წელიწადში, მაგრამ ჯიბეში არასდროს მიდევს 40 დოლარზე მეტი, ასე რომ... თუ მძარცველი ხართ... ჰა-ჰა-ჰა...

ჯერი *(ყურადღებას არ აქცევს, ზემოთქმულს)*: სად ცხოვრობთ? *(პიტერი ჭოჭმანობს)*. ნუ გეშინიათ, არც თქვენს გაძარცვას ვაპირებ და არც თქვენი თუთიყუშების, კატებისა და ქალიშვილების გატაცებას.

პიტერი *(ძალიან ხმამაღლა)*: ლექსინგტონისა და მესამე ავენიუს გადაკვეთაზე, 74-ე ქუჩაზე.

ჯერი: აი, ხომ ხედავთ, არც ისე ძნელი ყოფილა ამის თქმა.

პიტერი: საქმე სიძნელეზე არ არის, მაგრამ ჩვენ არ ვსაუბრობთ; ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დაკითხვას მიწყობთ, მე კი საკმაოდ თავდაჭერილი ადამიანი ვარ. ფეხზე რატომ დგახართ?

ჯერი: ცოტა მუხლს გავმართავ და მერე დავჯდები. *(რაღაცას იხსენებს)*. შეიცადე. სანამ მის სახეს დაინახავდე.

პიტერი: რა? რა სახეს? ზოოპარკს გულისხმობთ?

ჯერი *(ფიქრშია ჩაფლული)*: რას?

პიტერი: ზოოპარკს, ზოოპარკს, ისევ ზოოპარკზე ამბობთ?

ჯერი: ზოოპარკს?

პიტერი: დიახ, თქვენ ხომ რამდენიმეჯერ ახსენეთ ის.

ჯერი *(ისევ ფიქრშია ჩაფლული, მერე თითქოს უცებ გამოფხიზლდება)*: ჰო, ზოოპარკი; მე ვიყავი იქ დღეს, სანამ აქ მოვიდოდი, აკი გითხარით კიდეც. აბა, თუ მეტყვით, რა განსხვავებაა საშუალოზე მაღალ საშუალო კლასსა და მაღალზე დაბალ საშუალო კლასს შორის?

პიტერი: იცით, ჩემო კარგო, მე...

ჯერი: ჩემო კარგოს ნუ მეძახით, გთხოვთ.

პიტერი *(სევდიანად)*: მაპატიეთ, თუ ზედმეტად ფამილარული ვიყავი, მაგრამ თქვენმა შეკითხვამ კლასების შესახებ, ცოტა არ იყოს, გამაოცა.

ჯერი: მერე, როცა გაოცებული ხართ, ფამილარული ხდებით?

პიტერი: მე... მე... ხანდახან მიჭირს აზრის ჩამოყალიბება. *(ცდილობს ირონიული იყოს საკუთარი თავის მიმართ)*. მაგრამ მე ხომ გამომცემელი ვარ და არა მწერალი.

ჯერი: *(ეღიმება, მაგრამ არა ამ ხუმრობაზე)* კარგი, ნუ მებოდიშებით; სიმართლე თუ გინდათ, ფამილარულად მე გექცეოდით.

პიტერი: არა, რას ბრძანებთ!

(ამ დროს ჯერი სცენაზე ბოლთის ცემას იწყებს). უცბად თითქოს გონება უნათდება და მტკიცე გადაწყვეტილებას იღებს, ძაღლის ამბავი მოყვეს; ეს გრძელი მონოლოგი უნდა იყოს.

ჯერი: კარგი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ; რომელი მწერლები გიყვართ? ბოდლერი და მარკენდი?

პიტერი *(წინდახედულად)*: ბევრი მწერალი მიყვარს. ფრიად უნივერსალური გემოვნება მაქვს, თუ შეიძლება ასე ითქვას. ორივე მწერალი თავისებურად კარგია. *(ენთუზიაზმით განაგრძობს ლაპარაკს)*. ბოდლერი, რასაკვირველია... გაცილებით... დიდია, მაგრამ... მარკენდმაც... თავის ადგილი... დაიჭირა... ჩვენს... ლიტერატურაში...

ჯერი: მორჩით რა!

პიტერი: მაპატიეთ.

ჯერი: გინდათ გითხრათ, რა ვქენი დღეს, სანამ ზოოპარკში მოვიდოდი? მთელი მე-5 ავენიუ, ვოშინგტონის მოედნიდან მოყოლებული, ფეხით გამოვიარე; მთელი გზა, თავიდან ბოლომდე.

პიტერი: ალბათ ვილიჯში ცხოვრობთ. *(ამ აზრმა პიტერს თითქოს გონება გაუნათა და რაღაცას მიახვედრა)*.

ჯერი: არა, იქ არ ვცხოვრობ; უბრალოდ ვილიჯამდე მეტროთი მივედი, რათა იქიდან, მე-5 ავენიუს გავლით, ზოოპარკამდე ფეხით მივსულიყავი; ზოგჯერ გრძელი გზით უნდა მოუარო, რათა შინ მშვიდობით დაბრუნდე; ზოგჯერ ეს აუცილებელია.

პიტერი *(უკმაყოფილოდ)*: მე კი მეგონა, ვილიჯში ცხოვრობდით.

ჯერი: მაინც რისი გაკეთება გსურდათ? - საგნების არსს ჩაწვდომოდით? - ყველაფერი მოგეწესრიგებინათ? თუ მოვლენების კლასიფიცირება მოგეხდინათ? ეს ხომ ადვილი ასახსნელია. აი, მაგალითად, მე ძველ, ოთხსართულიან ქვიშაქვის სახლში ვცხოვრობ, სადაც ოთახები ქირავდება; ეს ვესტსაიდის რაიონია, კოლუმბის ავენიუსა და ცენტრალურ პარკს შორის. მე ბოლო სართულზე ვცხოვრობ, ჩემი ფანჯარა უკანა მხარეს, ეზოს გადაჰყურებს. ოთახი — ისეთი პატარა, რომ სასაცილოდ არ გეყოფათ — მეორე, ასეთივე პატარა ოთახისგან, თეჯირით არის გამოყოფილი. ეს ორი ოთახი, ალბათ, ოდესღაც, ერთი ოთახი იყო, მართალია პატარა, მაგრამ არა ისეთი სასაცილო. თეჯირს იქით შავკანიანი პედიკი ცხოვრობს, რომელსაც კარი სულ ღია აქვს, შეიძლება სულ არა, მაგრამ ყოველთვის, როცა ლამის ბუდისტური გულისყურით, წარბებს იპუტავს. ეს, სიფრიფანა იაპონურ კიმონოში გამოწყობილი შავკანიანი „დედოფალი“, ჩამპალი მეჩხერი კბილებით, დერეფანში წინ და უკან დარბის ოთახსა და ტუალეტს შორის. ეს საკმაოდ ხშირად ხდება, ანუ მუდმივად — ტუალეტში სირბილს ვგულისხმობ. არაფრით მაწუხებს და არც თავის ოთახში მოჰყავს ვინმე; ერთადერთი - წარბებს იპუტავს, კიმონოს ატარებს და ტუალეტში დარბის; ეს არის და ეს. ჩემს სართულზე კიდევ ორი ოთახია; ჩემსაზე დიდი, მაგრამ მაინც ერთი ბეწო; ფანჯრები ქუჩის მხარეს გადის. ერთში პუერტორიკოელი ოჯახი ცხოვრობს: ქმარი, ცოლი და რამდენიმე ბავშვი, არცკი ვიცი, რამდენი. აი იქ კი სულ ხმაურია. მეორე ოთახშიც ვიღაც ცხოვრობს, მაგრამ დღემდე არ ვიცი, ვინ? არასდროს მინახავს, არასდროს.

პიტერი *(გაოგნებულია)*: რატომ... რატომ ცხოვრობთ იქ?

ჯერი *(კვლავ ფიქრშია ჩაფლული)*: არცკი ვიცი.

პიტერი: სასიამოვნო ადგილი არ უნდა იყოს...

ჯერი: ეს ხომ 74-ე ქუჩა არ არის, მაგრამ მე ხომ არც ცოლი მყავს, არც ორი ქალიშვილი, არც ორი კატა და არც ორი თუთიყუში. მთელი ჩემი ავლადიდება საპარსი, სასაპნე, ორიოდე ხელი ტანსაცმელი, ელექტროქურა, რომლის ხმარებაც ჩვენს სახლში აკრძალულია, კონსერვის გასახსნელი - აი ისეთი, კაუჭიანი რომ არის, ერთი დანა, ორი ჩანგალი, ორი კოვზი - ჩაის და სუფრის, სამი თეფში, ჩაის ჭიქა თავისი ლამბაქით - ჭიქა წყლისთვის, სურათის ორი ჩარჩო - ორივე ცარიელი, რვა, თუ ცხრა წიგნი, ბანქოს ორი დასტა - პორნოგრაფიული და ჩვეულებრივი, ძველისძველი საბეჭდი მანქანა, რომელიც მხოლოდ მთავრულ ასოებს ბეჭდავს და კიდევ, ყუთი-სეიფია, რომელსაც კლიტე არა აქვს; გაინტერესებთ რა დევს შიგნით? კენჭები, ჰო, ჩვეულებრივი ზღვის კენჭები, რომელსაც ბავშვობაში სანაპიროზე ვაგროვებდი. მის ქვეშ კი წერილები დევს — „გეთაყვა“ წერილები, „გეთაყვა, არ გააკეთოთ ეს“, ან „გეთაყვა, გააკეთეთ ის“ და „როდის“ წერილები, „როდის მომწერთ?“, ან „როდის მომინახულებთ?“... როდის... როდის... ეს უფრო გვიანდელი წერილებია.

პიტერი *(კოპებშეკრული დაჰყურებს თავის ფეხსაცმელს და შემდეგ)*: იმ ორი ცარიელ ჩარჩოში...

ჯერი: რა დიდი მიხვედრა უნდა! არავის სურათი არა მაქვს, რომ შიგ ჩავდო.

პიტერი: თქვენი მშობლების ან თუნდაც... მეგობარი ქალის...

ჯერი: კარგი ადამიანი ხართ, მაგრამ საკმაოდ გულუბრყვილო. ჩემი ძვირფასი დედიკო და ჩემი ძვირფასი მამიკო... მოკვდნენ... გასაგებია?... მე ვწუხვარ... მართლა ვწუხვარ. მაგრამ. ახლა ისინი თავისი ვოდევილის თამაშს იქ, ზეცაში აგრძელებენ, მე კი მათ კოპწია და ჩარჩოში ჩასმულ სურათებს აქ. რატომ ვუყურო... არ მესმის. ეგეც არ იყოს, ჩემმა ძვირფასმა დედიკომ მაშინ მიატოვა ჩემი ძვირფასი მამიკო, როცა ათი წლის ვიყავი და მთელი ერთი წლით სამხრეთ შტატებში გაემგზავრა, სასიყვარულო ტურნეში. ამ მოგზაურობაში, მისი მრავალრიცხოვანი ჩვევიდან, უმთავრესი მაინც სუფთა ვისკი იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემმა ძვირფასმა მამიკომ ასე თქვა, როცა სამხრეთში გაემგზავრა... და... საყვარელი დედიკო... ჩამოასვენა. ძვირფასმა დედიკომ სული ნაგვის გროვაზე დალია, სადღაც ალაბამაში. ჩვენ ეს ამბავი შობის შემდეგ გავიგეთ, ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე; ყველასგან მიტოვებული მოკვ-

და, ან კი ვის რად ენაღვლებოდა... ვინ იყო? რას წარმოადგენდა? ერთი ჩვეულებრივი ლოთი... სადღაც ჩრდილოეთიდან. ამის შემდეგ ჩემი ძვირფასი მამიკო ლამის ორი კვირა ქეიფობდა ახალ წელს და მთვრალს, ომნიბუსმა გადაუარა. ამით შეიძლება ოჯახის ისტორია დამთავრებულიყო, მაგრამ სად იყო და სად არა, საიდანღაც დეიდა გამომიჩნდა, დედის და. ის წესიერი ადამიანი იყო და არც სასმელს ეტანებოდა; მასთან ცხოვრება ბუნდოვნად მახსოვს, თუმცა ერთი კი შემიძლია ვთქვა - ყოველთვის უუმური გამომეტყველება ჰქონდა: სულ ერთია, ეძინა, ჭამდა, მუშაობდა, თუ ლოცულობდა. მერე კი აიღო და მოკვდა თავისი და შემდგომში, ჩემი ლოგინის კიბეზე და სწორედ იმ დღეს, როცა სკოლას ვამთავრებდი; ისევ არ გინდა?!

პიტერი: წარმოუდგენელია!

ჯერი: მაგრამ ეს დიდი ხნის წინ მოხდა და აღარაფერს ვგრძნობ, თითქოს დაცლილი ვარ ყველანაირი ემოციისგან; ახლა ხვდებით, რატომ არ ჩავსვი ჩარჩოში ჩემი ძვირფასი დედიკოს და მამიკოს ფოტოები? სულ დამავიწყდა მეკითხა, რა გქვიათ?

პიტერი: პიტერი.

ჯერი: მე კი, ჯერი.

პიტერი *(ცოტა არ იყოს ნერვიულად იცინის)*: ძალიან სასიამოვნოა.

ჯერ *(თავს უკრავს მისალმების ნიშნად)*: ახლა კი დავფიქრდეთ, რა ჯანდაბად მინდა ქალის ფოტოსურათი, მითუმეტეს, ორ ჩარჩოში: ალბათ გახსოვთ, რომ ორი ჩარჩო მაქვს. მე ხომ ყველა ქალს მხოლოდ თითოჯერ შევხვდი და მერე თვალიც აღარ მომიკრავს. ასეც რომ არ იყოს, არცერთს თავისი ფოტო არ უჩუქებია. ცოტა არ იყოს, უცნაურია და იქნებ, სევდიანიც.

პიტერი: რა არის უცნაური და სევდიანი? რომ ფოტოსურათი არ უჩუქებიათ?

ჯერი: არა; ერთჯერადი შეხვედრები. არ შემეძლო ერთსა და იმავე ქალთან... როგორ ვთქვა... სექსი, ან, თუ გნებავთ, სასიყვარულო ურთიერთობა ორჯერ. მხოლოდ ერთხელ და მეტჯერ აღარ. ახლაღა გამახსენდა: იყო ერთი ადამიანი, რომელთანაც მთელი კვირანახევარი დავყავი; მაშინ 15 წლის ვიყავი და ძალიან მრცხვენოდა, რომ ნამდვილ მამაკაცობამდე ჯერ ბევრი მაკლდა. ჰ-ო-მ-ო-ს-ე-ქ-ს-უ-ა-ლ-ი გავხდი, გასაგებია? *(ძალიან სწრაფად)* პედერასტი... პედერასტი... პედერასტი... ზარები კი რეკდა და დროშეი ქარში ფრიალებდა. ის, ვისაც, იმ თერთმეტი დღის განმავლობაში, კვირაში ორჯერ ვხვდებოდი, პარკის დარაჯის ვაჟი იყო... ბერძენი, - ერთი წლით უფროსი, მაგრამ ჩვენი დაბადების დღეები ემთხვეოდა ერთმანეთს. მაშინ მეგონა, რომ ძალიან შეყვარებული ვიყავი, იქნებ

სექსის გამო; ის სულ სხვა განცდა იყო; ახლა კი ლამაზი ქალები ძალიანაც მომწონს. რომ იცოდეთ, როგორ მომწონს! მაგრამ მხოლოდ ერთი საათით.

პიტერი: მაგის გაგება ადვილია.

ჯერი *(გაბრაზდება)*: იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ ცოლი შევირთო და თუთიყუშები შევიძინო?

პიტერი *(ისიც გაბრაზდება)*: რას გადაეკიდეთ ამ თუთიყუშებს! იცხოვრეთ მარტომ, თუ ასე გსურთ; რა ჩემი საქმეა! ეს ლაპარაკიც მე არ წამომიწყია და...

ჯერი: ჰო, კარგი, მაპატიეთ, შევრიგდით?

პიტერი: *(იცინის)* არ მწყენია.

ჯერი *(შვებით ამოისუნთქებს)*: ძალიან კარგი. (კვლავ ძველ კილოს უბრუნდება). საინტერესოა, რომ სწორედ ჩარჩოებმა დაგაინტერესათ; რატომღაც მეგონა, პორნოგრაფიულ ბანქოზე შემეკითხებოდით რამეს.

პიტერი *(მრავალმნიშვნელოვნად ღიმღება)*: ნანახი მაქვს.

ჯერი: საქმე ეგ არ არის. *(იცინის)*. ალბათ სკოლაში,ბიჭებს შორის, ასეთი ბანქო ხელიდან ხელში გადადიოდა, ან იქნებ, თქვენი საკუთარიც კი გქონდათ.

პიტერი: ბევრს ჰქონდა და მეც, მათ შორის...

ჯერი: და ქორწინებამდე გადააგდეთ, არა?

პიტერი: გარკვეული ასაკის შემდეგ აღარ დამჭირვებია.

ჯერი: სულ აღარ?

პიტერი *(ეჩოთირა)*: არ მომწონს ასეთ თემაზე ლაპარაკი.

ჯერი: მაშინ ნუ ვილაპარაკებთ; თქვენი პრობლემები მე არ მეკითხება. უბრალოდ, მაინტერესებდა, როგორ აღიქვამს პორნოგრაფიულ ბანქოს ადამიანი ბავშვობაში და უფრო მოზრდილ ასაკში. პატარა ბიჭისთვის ეს ალბათ პრაქტიკულ გამოცდილებას ცვლის, ხოლო მოზრდილისთვის — ფანტაზიას. მაგრამ მგონი, ზოოპარკის ამბავი უფრო გაინტერესებდათ.

პიტერი *(გამოცოცხლდება)*: დიახ, ზოოპარკი *(უფრო თავშეკავებულად ამბობს)*. თუ რასაკვირველია... თქვენ...

ჯერი: გეტყვით, რატომაც წავედი იმ... მაგრამ მანამდე, სხვა რამეს მოგიყვებით. მგონი, უკვე გითხარით, რომ მეოთხე სართულზე ვცხოვრობ; ქვედა სართულებზე ოთახები უკეთესია; ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ასე მგონია. არც იქ მაცხოვრებლებს ვიცნობ. თუმცა არა, ერთ ქალს ვიცნობ მესამე სართულიდან. ვიცნობ, რადგან სულ ტირის. მივდივარ სადმე თუ შინ ვბრუნდები, მის კართან უნდა გავიარო და ოთახიდან ჩუმი, მაგრამ მკაფიო ზლუქუნი ისმის... ძალიან მკაფიო... მაგრამ ახლა სხვა ქალზე, სახლის მეპატრონეზე და მის

ძაღლზე მინდა გიამბოთ. ჩვეულებრივ, ადამიანების დახასიათებისას, არ მიყვარს უხეში სიტყვები, მაგრამ ის ერთი გასიებული, მახინჯი, უბადრუკი, სულელი, ჭუჭყიანი, მუდამ დაბოღმილი, მსუბუქი ყოფაქცევის ლოთი ქალია. მოკლედ, გვარიანი ნაძირალაა. უფრო „მაგარ“ სიტყვებსაც იმსახურებს, მაგრამ აღარ გავაგრძელებ.

პიტერი: საკმაოდ ხატოვნად აღწერეთ.

ჯერი: გმადლობთ. ჰოდა, იმ ქალს ძაღლი ჰყავს ის და მისი ძაღლი ჩემს ბუნაგს ყარაულობენ. პირდაპირ აუტანელი დედაკაცია; სულ დერეფანში დაწანწალებს და მითვალთვალებს: რა მოვიტანე, ან ვინმე ხომ არ მოვიყვანე სტუმრად. შუადღისას, ჩვეულებრივ, ერთ პინტ ლიმონიან ჯინს ყლურწავს, მერე დერეფანში მაჩერებს. პალტოზე ან მხარზე ჩამომეკონწიალება და ცდილობს, თავისი მყრალი სხეულით მომეკრას, რათა კუთხეში მიმიმწყვდიოს და დამელაპარაკოს. როგორ ყარს... ვერც კი წარმოიდგენთ... მისი ჩიტივით ტვინი მხოლოდ ჭამას, სმას და კუჭში გასვლას აღიქვამს და სადღაც, ძალიან შორს, გონების სიღრმეში, ჭიატობს რაღაც ვნებისდამაგვარი; მე კი მისი ბინძური ავხორცობის საგანი ვარ. ნამდვილი პაროდიაა და სხვა არაფერი.

პიტერი: რა ამაზრზენია... საზიზღრობაა...

ჯერი: მაგრამ მე ვიპოვე გზა, როგორ დავუსხლტე ხელიდან. როცა გასაქანს არ მაძლევს, ტკიპასავით მეკვრის და თავის ოთახში მეპატიჟება, ყოველთვის ერთსა და იგივეს ვეუბნები ხოლმე: „ჩემო მშვენიერო, განა გუშინდელი და გუშინწინდელი არ გეყო?“ ქალი მაშინვე იბნევა, ჭრუტა თვალები კიდევ უფრო უპატარავდება, ცოტა ხანს აქეთ-იქით ქანაობს და... არ დაიჯერებთ, პიტერ, მაგრამ ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს სიკეთეს ვშვრები: ქალს უტვინო სახეზე ნეტარების ღიმილი ეფინება, ხითხითებს და კრუსუნით იხსენებს გუშინდელ და გუშინწინდელ სასიამოვნო წუთებს, რაც სინამდვილეში არ ჰქონია. შემდეგ ეძახის ძაღლს, იმ შავ მონსტრს და თავის ოთახში შედის. მე კი მომავალ შეხვედრამდე თავისუფალი ვარ. როგორია?

პიტერი: რა ვიცი... წარმოუდგენელია... შეუძლებელია, ასეთი რამ, მართლა ხდებოდეს.

ჯერი *(ოდნავ დამცინავად)*: გეგონათ, მხოლოდ წიგნებში ხდებოდა, არა?

პიტერი *(სერიოზულად)*: დიახ.

ჯერი: გამონაგონს უფრო წააგავს, ასე არ არის? ახლა კი ძაღლზე მოგიყვებით.

პიტერი *(ნერვიულობს)*: დიახ, ძაღლზე...

ჯერი: ჯერ ხომ არ მიდიხართ?

პიტერი: არა... არა...

ჯერი *(ისე ელაპარაკება, როგორც ბავშვს)*: იმიტომ რომ, ჯერ ძაღლის ამბავს მოგიყვებით, მერე კი გიამბობთ... რა მოხდა ზოოპარკში.

პიტერი *(ცალყბად იცინის)*: ეს რამდენი ამბავი გცოდნიათ...

ჯერი: თუ არ გინდათ, ნუ მომისმენთ; არავინ გაკავებთ.

პიტერი *(გაღი ზიანებულია)*: ვიცი.

ჯერი: მართლა?

(ჩემი აზრით, შემდგომ გრძელ მონოლოგს თან უნდა სდევდეს უწყვეტი მოძრაობა, რომელიც ჰიპნოზივით იმოქმედებს პიტერზე და მაყურებელზე; ზოგი რამ უკვე შეთავაზებული იყო ადრე, მაგრამ ამ სცენის საბოლოო გადაწყვეტა რეჟისორზე და იმ მსახიობზეა დამოკიდებული, ვინც ჯერის როლს ითამაშებს).

ძალიანაც კარგი *(თითქოს უზარმაზარ აფიშას კითხულობს). ჯერის და ძაღლის ამბავი! (ჩვეულებრივი კილოთი აგრძელებს)* ეს ამბავი მჭიდროდაა დაკავშირებული იმასთან, რომ ხანდახან გრძელი გზით უნდა მოუარო, რომ შინ მშვიდობით და მალე დაბრუნდე; მაგრამ იქნებ სულაც არ არის ასე. ამიტომაც წავედი დღეს ზოოპარკში და მერე ჩრდილოეთის მიმართულებით ვიარე... სანამ აქ მოვიდოდი. ისევ ძაღლს დავუბრუნდეთ, ანუ შავ მონსტრს: უზარმაზარი დრუნჩი, პატარა ყურები, გარეთ გამოჩრილი ნეკნები და ჩასისხლიანებული, შეიძლება დაავადებული თვალები აქვს; მთლად შავია, ნახშირივით შავი; მხოლოდ თვალები აქვს წითელი და კიდევ, მარჯვენა?... ჰო... მარჯვენა წინა თათზე ღია წყლული, ისიც წითელი. ხანდახან მეცოდება კიდეც, იმიტომ რომ ბებერია და აღარავის სჭირდება. საწყალი მონსტრი! ზოგჯერ ჩაყვითლებული, რუხი და თეთრი ფერის ეშვებიც უჩანს, როცა ღრენას ცდილობს, აი ასე: ღრრრ... პირველად, იმ სახლში რომ გადავედი, მეც შემომიღრინა! იმ დღიდან მოსვენება არა მაქვს. ცხოველები სიყვარულით არასდროს მანებივრებდნენ, არც ფრინველების სიმპათიით ვსარგებლობდი, წმინდა ფრანცისკივით. იმის თქმა მინდა, რომ ცხოველები და ფრინველები გულგრილად მეპყრობიან... ადამიანებიც... როგორც წესი... *(ოდნავ ილიმება)*. მაგრამ ეს ძაღლი აშკარად არ მეპყრობოდა გულგრილად. პირველივე დღიდან მიყეფდა, მომდევდა და ცდილობდა, უკნიდან კანჭში მწვდომოდა. ეს არ იყო გაცოფებული, ავი ძაღლის სიშმაგე; ბოროტი განზრახვა არ ჰქონდა, გაუთვითცნობიერებლად აკეთებდა ამას, თანაც ბორძიკებდა და ამიტომ თითქმის ყოველთვის ვახერხებდი დასხლტომას. თუმცა ერთხელ მაინც მწვდა კბილებით შარვალში; აი აქ, სადაც დაკემსილია, ხედავთ? ეს მეორე დღეს მოხდა, როცა იმ სახლში გადავედი საცხოვრებლად, მაგრამ ფეხისკვრით მოვიშორე და სირბილით ავვარდი კიბეზე. *(გაოგნებულია)*. ნეტა მეზობლები როგორ უმკლავდებიან! მაგრამ

რატომღაც მგონია, ძაღლი ასე მხოლოდ მე მექცეოდა. ეს დაახლოებით ერთი კვირა გრძელდებოდა, თანაც მხოლოდ მაშინ, როცა შინ ვბრუნდებოდი და არასდროს, თუ გარეთ გავდიოდი. საინტერესოა, არა? უფრო სწორად, იყო საინტერესო, ოდესღაც; თითქოს უნდოდა, გუდა-ნაბადი ამეკრა და ქუჩაში მეცხოვრა. ერთხელაც, როცა თავქუდმოგლეჯილი შევვარდი ოთახში, რათა არ ეკბინა, დავფიქრდი ამაზე და მტკიცედ გადავწყვიტე... ჯერ კეთილი მოპყრობით მომეკლა ძაღლი და თუ ესეც არ გაჭრიდა... მართლა მომეკლა. *(პიტერი შეკრთება).* ნუ ნერვიულობთ, პიტერ, მხოლოდ მისმინეთ. მეორე დღეს ვიყიდე ერთი პარკი სავსე ჰამბურგერებით, არცთუ ძალიან გადაბრაწული, ყოველგვარი კეტჩუბისა და ხახვის გარეშე, მერე პურიც მოვაშორე და ცარიელი ხორცი დავტოვე. *(შემდეგ მონაყოლს შეიძლება ვი ზუალური ხასიათი მიეცეს).* სახლს მივუახლოვდი და სადარბაზოს კარი სანახევროდ შევაღე; ძაღლი იქ მელოდებოდა. ეს ხელს მაძლევდა. ფრთხილად შევედი და ხორცი ათ ნაბიჯზე დავდე იმ ადგილიდან, სადაც იჯდა და მიღრენდა. ძაღლმა ერთხელ კიდევ შემომიღრინა, მერე გაჩერდა, ჰაერი დაყნოსა და ხორცისკენ წავიდა... ჯერ ზანტად, მერე კი სულ უფრო სწრაფად. მივიდა ხორცთან და შემომხედა; მე პირფერულად გავუღიმე. მან ისევ დახედა ხორცს, დაყნოსა და ისეთი სისწრაფით დაუწყო თქვლეფა, თითქოს ნაგვის მეტი ცხოვრებაში არაფერი უჭამიაო. იქნებ ასეც იყო. მგონი, არც სახლის მეპატრონე ქალს უჭამია რამე, გარდა აშმორებული ნარჩენებისა. ძაღლმა ელვის სისწრაფით გადასანსლა ხორცი და ქაღალდის შეჭმაც სცადა, თან სიამოვნებისგან კრუსუნებდა. შემდეგ დაჯდა და გამიღიმა; ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. კატები იღიმებიანო, გამიგია. ეს მადლიერების რამდენიმე წამი იყო. და უცებ ღრრრ! დაიღრინა და ისევ მეცა, მაგრამ ამჯერად ვერ მომწვდა. ოთახში შევვარდი, ლოგინზე დავემხე და იმ უმადურ ძაღლზე დავიწყე ფიქრი. ძალიან ნაწყენი და გაცოფებული ვიყავი. ექვსი მშვენიერი ჰამბურგერი, თითქმის ღორის ხორცის გარეშე... ღორის ხორცით ხომ საშინლად უგემურია... ნამდვილად ძალიან გაბრაზებული ვიყავი. მაგრამ ცოტა რომ დავფიქრდი, გადავწყვიტე, რამდენიმე დღის შემდეგ, კიდევ ერთხელ მეცადა ბედი. ძაღლი აშკარად ცუდი თვალით მიყურებდა. მე კი მაინტერესებდა, შევძლებდი თუ არა მისი ანტიპათიის გადალახვას. ხუთი დღის განმავლობაში მიმქონდა მისთვის ხორცი, მაგრამ სულ ერთი და იგივე მეორდებოდა: ძაღლი იღრინებოდა, ჰაერს ყნოსავდა, მიდიოდა ხორცთან, ჭამდა, მიღიმოდა, მერე მიღრენდა და ცდილობდა კანჭში მცემოდა. ჩვენი ქუჩა მოფენილი იყო ჰამბურგერებით. შეურაცხყოფილი უფრო ვიყავი, ვიდრე გაბრაზებული; ჰოდა, მეც ძაღლის მოკვლა გადავწყვიტე.

(პიტერი პროტესტის ნიშნად ხელს ასწევს).

ნუ ღელავთ, პიტერ; ვერ შევძელი; იმ დღეს მხოლოდ ერთი ჰამბურგერი ვიყიდე და კიდევ, როგორც მეგონა, თაგვის წამლის მომაკვდინებელი დოზა. როცა გამყიდველს ვუთხარი, ცარიელი ხორცი მინდა, უპუროდ-მეთქი, მეგონა, მიპასუხებდა: უპუროდ არ ვყიდითო. ან „ხელიდან შეჭამთ?“, ან რაღაც მაგდაგვარს, მაგრამ მან ხორცი მშვიდად გამიხვია ქაღალდში და მკითხა: „კატისთვის გინდათ?“ ერთი სული მქონდა მეთქვა: „არა, ერთი ჩემი ნაცნობი ძაღლი უნდა მოვწამლო-მეთქი“, მაგრამ „ჩემი ნაცნობი ძაღლი“ სასაცილოდ მომეჩვენა და ხმამაღლა, ოფიციალური კილოთი ვუპასუხე: „ჰო, კატისთვის“. ხალხმა გაკვირვებით შემომხედა. მუდამ ასე ხდება, როცა საქმის გაიოლებას ვცდილობ, მაინცდამაინც კარგად არ გამომდის. სახლს რომ მივუახლოვდი, საწამლავი და ხორცი ერთმანეთში ავზილე; საზიზღარი გრძნობა დამეუფლა. სადარბაზოს კარი შევაღე, ძაღლიც იქვე იყო, იჯდა, რათა კუთვნილი ულუფა მიეღო და მერე, ჩვეულებისამებრ, კბილების ღრჭიალით ჩემსკენ გამოქანებულიყო. სულელი! ვერც ხვდებოდა, რომ სანამ მიღიმოდა, გაქცევას მოვასწრებდი. მაგრამ აი ისიც! დაბოღმილი ზის და მელოდება. მოწამლული ხორცი ძირს დავდე და კიბიდან თვალთვალი დავუწყე. ძაღლმა თვალის დახამხამებაში შესანსლა მოწამლული ხორცი, გამიღიმა და როგორც ყოველთვის, ჩემსკენ ისკუპა; მეც, ჩვეულებისამებრ, კიბეზე ავვარდი და გავასწარი. მერე საცოდავი ძაღლი ძალიან ავად გახდა! ამას იმით მივხვდი, რომ სადარბაზოში აღარ მელოდებოდა, სახლის მეპატრონე ქალმა კი სმას თავი ანება. იმავე საღამოს ქალმა დერეფანში გამაჩერა და მითხრა, რომ მის საცოდავ ძაღლს მალე ღმერთი თავისთან წაიყვანდა. ქალს თავისი ბილწი ენებაც კი გადაავიწყდა, მუდარით მიმზერდა და მთხოვდა, მელოცა ძაღლისთვის; მაშინღა შევამჩნიე, თუ როგორ ჰგავდა მისი ფართოდ გახელილი თვალები ძაღლის თვალებს. ერთი სული მქონდა მეთქვა, რომ უმჯობესი იყო მეზობლებისთვის მელოცა, ყველასთვის, ვინც ამ სახლში ცხოვრობდა, ან სხვა ამგვარ სახლებში; თანაც ლოცვაც არ ვიცი-მეთქი, მაგრამ საქმე კვლავ გავიიოლე, თავი შევიკავე და დავპირდი, რომ აუცილებლად ვილოცებდი. ქალმა ამომხედა და ნუ იტყუებიო - მითხრა, დიახაც, გინდა, ძაღლი მოკვდესო. არა-მეთქი, ვუთხარი და იმ დროს სრულიად გულწრფელი ვიყავი. მართლა მინდოდა, კარგად გამხდარიყო, იმიტომ არა, რომ მე მოვწამლე. მინდოდა მენახა, როგორ შემხვდებოდა.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

(პიტერი აშკარად გამოხატავს თავის მზარდ ანტიპათიას)

უნდა გამიგოთ, პიტერ, ეს მნიშვნელოვანია ჩემთვის, მერწმუნეთ, უარღესად მნიშვნელოვანი; ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ჩვენს საქციელს *(ისევ ოხრავს)*. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ძაღლი გამოჯანმრთელდა; აზრზე არა ვარ, როგორ; იქნებ იმ ძაღლის შთამომავალია, რომელიც ჯოჯოხეთის, თუ რაღაც ამდაგვარის, კარიბჭეს დარაჯობს. მითოლოგიაში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი.

(პიტერი ფიქრში იძირება, ჯერი კი განაგრძობს) ასე იყო თუ ისე, ძაღლი გამოჯანმრთელდა, სახლის მეპატრონე ქალი კი სასმელს დაუბრუნდა; ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩადგა. ერთხელაც, როცა კინოდან ვბრუნდებოდი, სადაც ათასჯერ ნანახი ფილმი ვნახე, ან იქნებ, ჰგავდა ათასჯერ ნანახს, გულის სიღრმეში იმედი მქონდა, რომ ძაღლი კვლავ მელოდა. ეს არც ჯადო იყო... არც იდეა-ფიქსი... არამედ, სურვილი კვლავ შევხვედროდი ძველ მეგობარს. დიახ, პიტერ, მეგობარს და სხვა არაფერი. გულისფანცქალით შევაღე სადარბაზოს კარი და უშიშრად გავემართე კიბისკენ; ძაღლი იქ იყო, იჯდა და შემომცქეროდა; მეც გავჩერდი და შევხედე; მგონი... დიდხანს ვიყავით ასე გაშეშებულები... არ ვიცი... თვალი თვალში გვქონდა გაყრილი, მგონი, კონტაქტიც დამყარდა ჩვენს შორის; ოღონდ მე უფრო დიდხანს ვუყურებდი, რადგან ძაღლები, როორც წესი, ხანგრძლივად ვერ უძელებენ ადამიანის მზერას. სწორედ ასეთ კონტაქტზე ვოცნებობდი; მე მიყვარდა ეს ძაღლი და მინდოდა, მასაც ვყვარებოდი; სიყვარული და სიძულვილი ერთმანეთში აირია; ვეცადე ეს ორი გრძნობა გამეცალკევებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. დიდი იმედი მქონდა, რომ... ძაღლი... გამიგებდა... ნეტა რატომ?...

(პიტერს თითქოს ჰიპნოზი გაუკეთოსო)

საქმე ისაა, რომ... რომ... *(პიტერი დაძაბული უსმენს)* თუ ადამიანებთან ვერ ამყარებ კონტაქტს, მაშინ ჯერ სხვაგან უნდა სცადო ბედი, მაგალითად, ცხოველებთან! *(ლაპარაკობს სხაპასხუპით, თითქოს ეშინია, არ გამიგონო)* გასაგებია? ადამიანს ურთიერთობისთვის აუცილებლად სჭირდება სხვა ვინმე და თუ ვინმე არ ჰყავს, მაშინ რამე! ეს შეიძლება იყოს საწოლი... მწერი... სარკე... ხალიჩა... თუნდაც ტუალეტის ქაღალდი... არა, ეს ბოლო არ ვარგა, არც სარკე გამოდგება, სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდები... ხედავთ, რა

ძნელია სწორი არჩევანის გაკეთება? გზაჯვარედინიც გამოდგება, როცა ლამპიონების შუქი სხვადასხვა ფერად ირეკლება სველ ტროტუარზე... ბოლის ჭავლიც... ან პორნოგრაფიული ბანქო... სეიფიც — საკეტის გარეშე... სიყვარულიც... რწყევაც და გულის გამგმირავი კივილიც... და მძვინვარება, რომ ახალგაზრდა ლამაზი ქალბატონები არც ლამაზები არიან და არც ქალბატონები... სხეულით ვაჭრობაც გამოდგება, რადგან ისიც სიყვარულის აქტია და შემიძლია დავამტკიცო ეს... ღმუილიც, რადგან ცოცხალი ხარ და... თვით ღმერთიც. შოკირებული ხართ? მე ვგულისხმობ ღმერთს, რომელიც ჩემს მეზობლებშია: კიმონოში გამოწყობილ „შავკანიან დედოფალში", რომელიც წარბებს იპუტავს, ან იმ ქალში, რომელიც დღედაღამ გულამოსკვნილი ტირის თავის ოთახში... ღმერთს, რომელმაც, როგორც მითხრეს, დიდი ხანია ზურგი აქცია ამ ქვეყანას და ბოლოს... ადამიანებიც *(ჯერი ამ ბოლო სიტყვას ამოიგმინებს)*; დიახ, კიდევ ადამიანებიც, რომლებსაც გაუზიარებ შენს აზრებს და შეხედულებებს, დაელაპარაკები; მაგრამ მითხარით, ციხის ამ დამამცირებელ და ყალბ ვითარებაში, ურთიერთობისთვის სადარბაზოზე უკეთესი ადგილი, თუ გეგულებათ? იქ მოგისმენენ და მოუსმენ, გაგიგებენ და გაუგებ; არადა, რა ჰქვია იმ არსებას, რომელსაც პირველ ყოვლისა, ჯობს გამოელაპარაკო, თუ არა...

(აქ ჯერი თითქმის გროტესკულ დაღლილობას გამოხატავს)

თუ არა... ძაღლი... დიახ, დიახ... ძაღლი.

(ამ ადგილას პაუზა ოდნავ უნდა გაჭიანურდეს, რომლის შემდეგაც ჯერი გააგრძელებს თხრობას)

ეს აზრი სავსებით მისაღები მეჩვენა, რადგან ადამიანი ძაღლის საუკეთესო მეგობარია. ჩვენც ვიდექით და ვუყურებდით ერთმანეთს — მე მას უფრო დიდხანს, ვიდრე ის მე. მას შემდეგ, ერთი და იგივე მეორდება: ყოველ შეხვედრაზე ადგილზე ვშეშდებით, სევდითა და ეჭვით აღვსილნი, მერე კი გულგრილობას ვასახიერებთ, მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენ უკვე გავუგეთ ერთმანეთს და აღარ ვუფრთხით. მანამდე კონტაქტის დამყარების ყველა მცდელობა კრახით მთავრდებოდა. ახლა კი ძაღლი ნარჩენების გროვას უბრუნდება, მე კი თავისუფლად ვაგრძელებ გზას ჩემი ოთახისკენ. მე მივხვდი, რომ სიკეთე და სისასტიკე ცალ-ცალკე არაფრის მაქნისია, ხოლო ერთად — დიდი ძალა აქვს, რადგან ემოციის გამოწვევა შეუძლია; ახლა კი რა გამოვიდა? მე და ძაღლმა მივაღწიეთ კომპრომისს,

უფრო სწორად, გარიგებას: ჩვენ არც გვიყვარს და არც გვძულს ერთმანეთი, რადგან აღარ ვცდილობთ, გავუგოთ ერთმანეთს. ნეტა ძაღლის ჭმევა თუ შეიძლება სიყვარულის გამოხატულებად მივიჩნიოთ? ან ავიღოთ ძაღლი რომელიც ცდილობდა ეკბინა ჩემთვის, იქნებ ესეც სიყვარულის გამოხატულება იყო, მაგრამ მე ვერ მივხვდი? თუ ურთიერთგაგება არ იქნება, მაშინ, საერთოდ, რა საჭიროა სიტყვა „სიყვარული“...

(პაუზა; ჯერი მიემართება პიტერისკენ და მის გვერდით ჯდება სკამზე მთელი პიესის განმავლობაში, ჯერი პირველად ჯდება)

ასე დასრულდა ჯერისა და ძაღლის ამბავი *(პიტერი დუმს)*. აბა, რას იტყვით, პიტერ? *(ჯერი გამხიარულდა)* არ მოგეწონათ? რომელიმე ჟურნალში ხომ არ გამომექვეყნებინა, მაგალითად, ასეთი სათაურით: „დაუვიწყარი ნაცნობობა“ და ცოტა ფული გამეკეთებინა.

(ჯერი გამოცოცხლებულია, ხოლო პიტერი შეწუხებული ჩანს)

პიტერ, მითხარით რამე; თქვენი აზრი მართლა მაინტერესებს.

პიტერი *(გაოგნებულია)*: მე... არ მესმის... არა მგონია, რომ... (ლამის იტიროს) ამ ყველაფერს, რატომ მიყვებით?

ჯერი: მერე რა?

პიტერი: უბრალოდ, არ მესმის!

ჯერი *(გაცოფებულია, მაგრამ ჩურჩულით)*: ცრუობთ.

პიტერი: არა, სიმართლეს მოგახსენებთ!

ჯერი *(წყნარად)*: მე ხომ შევეცადე ყველაფერი ამეხსნა; ეს დაკავშირებულია...

პიტერი: მეტს ნუღარაფერს მეტყვით! ვერაფერი გავიგე — ვერც თქვენი, ვერც სახლის მეპატრონისა და ვერც მისი ძაღლის...

ჯერი: მისი ძაღლის? მე კი მეგონა, ჩემი იყო... არა, მართალი ბრძანდებით, ძაღლი, მართლაც, მისია *(ყურადღებით უყურებს პიტერს და თავს აქნევს)*. არაკი ვიცი, რატომ მოგიყევით... მაინც ვერაფერი გაიგეთ *(ამბობს მონოტონურად, დაღლილი სახე აქვს)* მე ხომ თქვენს სახლში არ ვცხოვრობ, არც ორ თუთიყუშზე ვარ დაქორწინებული და თქვენი ცხოვრების წესი და რიგიც, თუ რაც არის, ჩემთვის უცხოა... მე მარადი მაწანწალა, ანუ დროებითი მაცხოვრებელი ვარ და ჩემი ბუნაგი ნიუ-იორკის, ამ უდიდესი ქალაქის, ვესტსაიდია; ამინ!

პიტერი: არ მინდოდა... მაპატიეთ...

ჯერი: არაფერია... ალბათ ერთი სული გაქვთ, თავიდან მომიშოროთ... ასეა?

პიტერი *(ხუმრობს)*: გამომცემლობაში ყველაფერს შევეჩვიე. *(ხითხითებს)*.

ჯერი: ხუმარა ყოფილხართ *(ცდილობს გაიცინოს)*. კარგი იუმორი გაქვთ...

პიტერი *(თავდაჭერილია, მაგრამ ნასიამოვნები)*: რას ბრძანებთ... *(კვლავ ხითხითებს)*.

ჯერი: მართალი მითხარით, ჩემი აქ ყოფნა გაღიზიანებთ?

პიტერი (ძალდაუტანებლად): სიმართლე გითხრათ, სულ სხვაგვარად ვფიქრობდი ამ შუადღის გატარებას.

ჯერი: ანუ ის არ ვარ, ვისაც ელოდით?

პიტერი: საერთოდ არავის ველოდი.

ჯერი: მაგრამ მე აქ ვარ და არსად მეჩქარება.

პიტერი *(საათ ზე იყურება)*: თქვენ შეიძლება არ გეჩქარებათ, აი მე კი მალე შინ მიმელიან.

ჯერი (ფერდებზე უღიტინებს პიტერს): კარგით რა...

პიტერი *(საშინლად ეშინია ღიტინის და ფალცეტით იწყებს ლაპარაკს, რადგან ჯერი არ ეშვება და ისევ უღიტინებს)*: ოოჰ, არა... გაჩერდით... კმარა...

ჯერი: კარგით რა... კიდევ ცოტა ხანს დარჩით...

პიტერი *(ჯერი კვლავ უღიტინებს)*: არა, უნდა წავიდე... ჰა-ჰა-ჰა... რადგან ჰა-ჰა-ჰა... თუთიყუშები, ანუ ცოლი... ჰა-ჰა-ჰა... სადილად მელოდება, ხოლო ფისუნიები, ანუ ჩემი გოგონები... ჰა-ჰა-ჰა... უკვე სუფრას შლიან... ჰა-ჰა-ჰა... კმარა, გეყოფათ...
(ჯერი წყვეტს ღიტინს, მაგრამ ღიტინისა და საკუთარი გიჟური ფანტაზიის გამო, პიტერი ისტერიულად ხარხარებს, ხოლო ჯერი ინტერესით და ცივი ღიმილით აკვირდება მას).

ჯერი: პიტერ!

პიტერი: რაო? ჰა-ჰა-ჰა... რაშია საქმე, ჯერი? ღმერთო... ჰა-ჰა-ჰა...

ჯერი: ახლა კი მომისმინეთ.

პიტერი: რა? ჰა-ჰა-ჰა? რა ხდება, გისმენთ...

ჯერი *(იდუმალი გამომეტყველებით)*: გინდათ გაიგოთ, რა მოხდა ზოოპარკში?

პიტერი: სად? ჰა-ჰა-ჰა. აჰ, ჰო, ზოოპარკში... მაგრამ მე, ჰა-ჰა-ჰა შინ საკუთარი ზოოპარკი მაქვს... თუთიყუშები და ფისუნიები...

ჯერი *(წყნარად)*: ძალიან სასაცილოა... მაგრამ გინდათ გაიგოთ, რა მოხდა ზოოპარკში, თუ არ გინდათ?

პიტერი: რასაკვირველია, მომიყევით; თავადაც არ ვიცი, რა დამემართა...

ჯერი: ახლავე მოგიყვებით, მაგრამ ჯერ გეტყვით, საერთოდ რატომ წავედი იქ. მე წავედი ზოოპარკში, რათა დავკვირვებოდი ურთიერთობას ადამიანებისა ცხოველებთან, ცხოველებისა ერთმანეთთან, ან თუნდაც, ადამიანებთან. ვიცოდი, რომ ზუსტ სურათს ვერ მივიღებდი, რადგან ცხოველები, ერთმანეთისგანაც და ადამიანებისგანაც, გისოსებით არიან გამოყოფილი, მაგრამ რას იზამ, ეს ხომ ზოოპარკია *(პიტერს მხარზე კრავს ხელს)*. ჩაიჩოჩეთ.

პიტერი *(მეგობრულად)*: განა საკმარისი ადგილი არა გაქვთ? *(ცოტა ჩაინევს)*.

ჯერი *(ოდნავ ილიმება)*: უამრავი ცხოველი და ხალხი იყო, იქაურობა ბავშვებით არის გადავსებული, დღეს ხომ კვირაა და თანაც მშვენიერი ამინდია *(კვლავ კრავს ხელს პიტერს)*. ჩაიჩოჩეთ!

პიტერი *(აუღელვებლად და კვლავაც მეგობრული კილოთი)*: კი ბატონო *(ახლა ჯერის საკმაოდ ბევრი თავისუფალი ადგილი აქვს)*.

ჯერი: ცხელა და საშინელი მყრალი სუნი დგას; ბუშტებისა და ნაყინის გამყიდველებიც იქვე ირევიან; სელაპები გაჰკივიან, ჩიტები ყურისწამღებად ჟივჟივებენ (უფრო მაგრად კრავს ხელს პიტერს). ჩაიჩოჩეთ!

პიტერი *(უკვე ნერვიულობს)*: ადგილის მეტი რა გაქვთ! მაგრამ კი ბატონო! *(ჩაიჩოჩა და სკამის კიდეში მიიყუჟა)*.

ჯერი: მე ვუყურებდი, როგორ შევიდა დარაჯი ლომების გალიაში. საჭმელი შეუტანა *(მაგრად კრავს ხელს პიტერს)*. ჩაიჩოჩეთ!

პიტერი *(ძალიან გაღიზიანებულია)*: მეტი სადღა ჩავიჩოჩო? გეყოთ მუჯლუგუნები, რა დაგემართათ?!

ჯერი: გინდათ, მომისმინოთ, თუ არა? (კვლავ მხარზე ჩქმეტს პიტერს).

პიტერი *(გაოგნებულია)*: რა მოგახსენოთ! და არც ის მინდა, რომ მხარში მირტყამდეთ და მჩქმეტდეთ.

ჯერი *(კვლავ ჩქმეტს და ურტყამს პიტერს მხარზე)*: ეი ასე, როგორც ახლა?

პიტერი: კმარა! რა დაგემართათ?

ჯერი: შტერო! მე გიჟი ვარ.

პიტერი: სულაც არ არის სასაცილო.

ჯერი: იცით რა, პიტერ, მე ეს სკამი მჭირდება, თქვენ კი სხვაგან გადაჯექით და თუ კარგად მოიქცევით, გიამბობთ, რა მოხდა მერე.

პიტერი *(აღელვებულია)*: კი მაგრამ... რატომ უნდა დაგითმოთ ჩემი სკამი... ყოველ კვირადღეს აქ ვზივარ ხოლმე კარგ ამინდში. წყნარი ადგილია, არავინ მაწუხებს და მომწონს; ნუთუ, არ შეგიძლიათ სხვა ადგილი და სხვა სკამი მოძებნოთ? რა მოგდით?!

ჯერი *(ამბობს წყნარად)*: გაეთრიეთ აქედან, პიტერ, მარტო მინდა ვიჯდე ამ სკამზე.

პიტერი *(თითქმის საწყალი ხმა აქვს)*: არა.

ჯერი: მე ვთქვი, რომ ამ სკამზე მინდა ვიჯდე; ასე რომ, სხვაგან გადაჯექით.

პიტერი: ადამიანს არ შეუძლია ჰქონდეს ყველაფერი, რასაც მოინდომებს. ეს ხომ ძალიან მარტივია; ადამიანს, როგორც წესი, შეუძლია მიიღოს მხოლოდ ნაწილი იმისა, რაც უნდა, მაგრამ არა ყველაფერი.

ჯერი *(იცინის)*: დეგენარატი! ჩლუნგი!

პიტერი: ნუ ილანძღებით!

ჯერი: ნამდვილი მცენარე ხართ! მარტივი და უტვინო! წადით და მიწაზე დაწექით!

პიტერი *(დაძაბულია)*: ახლა კი მე მომისმინეთ! ბევრი გითმინეთ, მთელი შუადღე.

ჯერი: ცოტა ნაკლები.

პიტერი: საკმაოდ დიდხანს! და ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ... მეგონა, ვინმესთან ლაპარაკი გინდოდათ.

ჯერი: ოჰ, ღმერთო, როგორ დამღალეთ... აეთრიეთ ჩემი სკამიდან და მარტო დამტოვეთ.

პიტერი: სკამი ჩემია!

ჯერი *(ხელს ჰკრავს პიტერს; პიტერი ძლივს იკავებს თავს, რომ სკამიდან არ გადავარდეს)*: თავიდან მომწყდით და თვალით აღარ დამენახოთ.

პიტერი *(უფრო მყარად ჯდება სკამზე)*: ჯანდაბამდე გზა გქონიათ! გეყოფათ მაიმუნობა; სკამს არ დაგითმობთ, გასაგებია?
(ჯერი ირონიულად ილიმება და ადგილიდან არ იძვრის).
წადით-მეთქი აქედან, ვერ გაიგეთ?
(ჯერი არ იძვრის)
წაეთრიეთ აქედან; დროზე! ხულიგანო! თუ ახლავე არ წახვალთ, *(ჯერი იცინის)* *პოლიციელს დავუძახებ!*

ჯერი *(წყნარად)*: ამ არემარეზე ერთ პოლიციელსაც ვერსად ნახავთ; ყველანი პარკის დასავლეთ ნაწილში არიან, ხის ქვეშ და ბუჩქებში შეყუჟულ ლამაზმანებს დასდევენ; განა ეს არ არის მათი ძირითადი მოვალეობა? ასე რომ, იყვირეთ, რამდენიც თქვენს გულს გაუხარდება.

პიტერი: გაფრთხილებთ, ახლავე დავაპატიმრებინებ თქვენს თავს. პოლიცია!
(პაუზა) პოლიცია! *(პაუზა)*. დასწყევლოს ღმერთმა, რა უაზრო სიტუაციაა!

ჯერი: მართლაც, დამდგარხართ ამხელა კაცი, ამ მზიან კვირადღეს, პარკში და ღრიალებთ პოლიციაო, როცა არავინ [illegible]ფერს გიშავებთ.

თუ რომელიმე პოლიციელი შემთხვევით მაინც გამოივლის, იფიქრებს გააფრინაო.

პიტერი *(ძალაგამოლეული და აღშფოთებულია)*: ღმერთო, რა დავაშავე... მე აქ იმიტომ მოვედი რომ დამესვენა და წამეკითხა, თქვენ კი სკამის წართმევა მომინდომეთ. ნამდვილი გიჟი ხართ!

ჯერი: თქვენ სკამზე ახლა მე ვზივარ და თქვენ აქ ველარასოდეს დაჯდებით.

პიტერი *(გაცოფებულია)*: ახლავე აეთრიეთ და მოუსვით აქედან! ეს ჩემი სკამია და არაფრის გაგონება არ მინდა! მომწყდით თავიდან... ახლავე!

ჯერი *(დამცინავად)*: ახლა კი სრულიად ნათელია, ვინ არის, ჩვენ ორში, გიჟი.

პიტერი: წაეთრიეთ!

ჯერი: არავითარ შემთხვევაში.

პიტერი: კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ!

ჯერი: რომ იცოდეთ, რა სულელური გამომეტყველება გაქვთ...

პიტერი (*ბრაზმორეული თავს ველარ იკავებს*): არ მაინტერესებს *(ტირილს ცოტაღა უკლია)*. აეთრიეთ ჩემი სკამიდან!

ჯერი: რატომ? თქვენ ხომ ყველაფერი გაქვთ: სახლი, ოჯახი, საკუთარი ზოოპარკიც კი, ახლა კი ეს სკამიც მოინდომეთ, განა ადამიანები ამისთანა რამეებისთვის იბრძვიან? მითხარით, პიტერ, ეს რკინისა და ხისგან გაკეთებული სკამი თქვენთვის ღირსების საქმეა? ერთი წუთით დაფიქრდით, რისთვის ატეხეთ ამხელა აყალმაყალი; ეს ხომ აბსურდია!

პიტერი: აბსურდი? ყური მიგდეთ, სულ არ ვაპირებ თქვენთან ღირსებაზე ლაპარაკს, მით უფრო ახსნას; ეგეც არ იყოს, ღირსება აქ არაფერ შუაშია, თუმცა თქვენ ამას მაინც ვერ მიხვდებით.

ჯერი *(დამცინავია)*: არც კი იცით, რას ამბობთ. ცხოვრებაში პირველად აღმოჩნდით უფრო რთულ სიტუაციაში, ვიდრე თქვენი კატების მოვლაა. სულელი! თქვენ ხომ აზრზეც კი არ ხართ, ვის რა სჭირდება. რა სჭირდება სხვას.

პიტერი: სულ უფრო ვრწმუნდები, რომ თქვენ ეს სკამი არ გჭირდებათ; აქ საქმე სხვა რამეზეა, ასე არ არის?

ჯერი: ცდებით. მე ეს სკამი მჭირდება.

პიტერი *(ბრაზმორეულს ხმა უკანკალებს)*: ვინ იცის, რამდენი წელია, აქ დავდივარ, ვტკბები მარტო ყოფნით და სიწყნარით. მე ღირსეული ადამიანი ვარ, ზრდასრული, ეს კი ჩემი სკამია; ასე რომ, უფლება არა გაქვთ, წამართვათ.

ჯერი: მაშინ იბრძოლეთ თქვენი უფლებისთვის; დაიცავით თავიც და სკამიც.

პიტერი: თქვენ თავს დააბრალეთ! ადექით და ვიბრძოლოთ.

ჯერი: როგორც ნამდვილმა კაცებმა?

პიტერი: სწორედაც! როგორც ნამდვილმა კაცებმა, თუკი არ შეწყვეტთ ჩემს აბუჩად აგდებას.

ჯერი: იცით, პიტერ, მართალია, ნამდვილი იდიოტი ხართ, მაგრამ ღირსების გრძნობით შემკული იდიოტი; პატივისცემითაც კი გავიმსჭვალე თქვენს მიმართ.

პიტერი: საკმარისია...

ჯერი: არა, მართლა! ღირსების გრძნობა ნამდვილად გაქვთ და ამან გამაოცა... სიმართლე გითხრათ, არ ველოდი...

პიტერი: გაჩუმდით!

ჯერი *(ზლა ზვნით დგება)*: კეთილი, პიტერ, ვიბრძოლოთ სკამისთვის, მაგრამ ძალები არათანაბარია.

(ჯერი ჯიბიდან იღებს და ხმამაღალი ტკაცუნით ხსნის შემზარავ დანას).

პიტერი *(გააცნობიერებს სიტუაციას)*: გიჟი ხართ! ნამდვილი არანორმალური! ჩემი მოკვლა გინდათ!

(სანამ პიტერი ფიქრობს, რა მოიმოქმედოს, ჯერი დანას პიტერის ფეხებთან დააგდებს).

ჯერი: ახლა დანა თქვენ გაქვთ და ჩვენი ძალებიც, ასე თუ ისე, თანაბარია.

პიტერი *(თავ ზარდაცემულია)*: არა!

ჯერი: *(ელვის სისწრაფით მივარდება პიტერს და საყელოში სწვდება; პიტერი სკამიდან წამოხტება, ცხვირი ცხვირთან აქვთ მიდებული)* აიღეთ დანა და ვიბრძოლოთ; თქვენ იბრძოლებთ საკუთარი ღირსებისა და ამ დაწყევლილი სკამის დასაცავად.

პიტერი *(ცდილობს ხელიდან დაუსხლტეს)*: არა! შემეშვით... თავი დამანებეთ... მიშველეთ!

ჯერი *(სილას გააწნავს, ასილაქებს პიტერს და თან იმეორებს: „იბრძოლე“, „იბრძოლე“.)*: იბრძოლე, შე ლაჩარო, შე ჩვარო; იბრძოლე შენი სკამისთვის, შენი თუთიყუშებისთვის, შენი კატებისთვის, შენი გოგონებისთვის, შენი ცოლისთვის, შენი მამაკაცური ღირსებისთვის, შე გაბღენძილო იდიოტო! (აფურთხებს პიტერს სახეში) ბიჭის გაკეთებაც კი ვერ მოგიხერხებია.

პიტერი *(გაცოფებული, როგორც იქნა დაუსხლტება ხელიდან ჯერის)*: არანორმალურო! ეს გენეტიკის ამბავია და არა მამაკაცობის. *(იღებს დანას, მაგრად ბღუჯავს ხელში და მძიმე ქშენით უკან იხევს)*. უკანასკნელად გეუბნები, წადი და თვალით აღარ დამენახო! *(მაგრად უჭირავს დანა, ხელი წინ აქვს გამოწეული, მაგრამ თავდასასხმელად კი არა, თავის დასაცავად).*

ჯერი *(მძიმედ ამოიოხრებს)*: კეთილი, ასე იყოს!
(პიტერი გონს მოსვლას ვერც ასწრებს, რომ ჯერი უცბად გამოქანდება და მკერდით დაესობა დანას, რომელიც პიტერს უჭირავს. პიტერი დაიღრიალებს, ხელს განზე გასწევს და დანას ჯერის მკერდში ტოვებს. ჯერი გაუნძრევლად, ერთ ადგილზე გაშეშებული დგას, შემდეგ, სასიკვდილოდ დაჭრილი, გააფთრებული ცხოველივით, დაიღმუვლებს, ბარბაცით მიდის ახლა უკვე ცარიელ სკამთან და ნელა დაჯდება. ზის და პიტერს შესცქერის; სიკვდილის პირსაა, აგონიაში მყოფს, პირი ღია აქვს და თვალები ფართოდ გახელილი).

პიტერი *(ჩურჩულებს)*: ოჰ, ღმერთო ჩემო... ღმერთო... ღმერთო ჩემო...
(ამ სიტყვებს მალი-მალ იმეორებს).

ჯერი *(ჯერი კვდება, მაგრამ ახლა მას სულ სხვა გამომეტყველება აქვს — უფრო კეთილი და მშვიდი; ხმა უკანკალებს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობს, თითქოს სიკვდილს ებრძვისო, ელიმება)*: გმადლობ, პიტერ... არა, მართლა, დიდი მადლობა.
(პიტერს ყბა ჩამოუვარდა; გაშეშებული დგას და განძრევის თავი არა აქვს). როგორ მეშინოდა, პიტერ, რომ მიმატოვებდი *(ცდილობს გაიღიმოს).* ახლა კი გეტყვი, რა მოხდა ზოოპარკში; მე მგონია... რომ ყველაფერი ასე იყო: როცა ზოოპარკში მივედი, გადავწყვიტე, ჩრდილოეთისკენ მევლო, ანუ ჩრდილოეთის მიმართულებით, სანამ ვინმეს არ გადავეყრებოდი; აქ კი შენ დაგინახე და გადავწყვიტე, ლაპარაკი გამება, ისეთი რამეები მომეყოლა, რაც მაინცდამაინც არ... და აი რა გამოვიდა... მოხდა ის, რაც მოხდა... იქნებ წინასწარ მქონდა ყველაფერი დაგეგმილი... არა მგონია, მაგრამ საბოლოოდ, ალბათ, სწორედ ასე მინდოდა, დამთავრებულიყო ყველაფერი... ახლა უკვე იცი, რაც მოხდა ზოოპარკში, — რას წაიკითხავ გაზეთებში და ნახავ ტელევიზიით. ალბათ ჩემს სახესაც აჩვენებენ, იმ სახეს, რომელსაც ახლა უყურებ.
პიტერ... პიტერ... *(ღონემიხდილი იღიმება)* დიდი მადლობა... შენ შვება მაჩუქე, ძვირფასო პიტერ.

პიტერი *(თითქმის გულწასულია)*: ღმერთო ჩემო!

ჯერი: ახლა კი ჯობს წახვიდე, სანამ ვინმე დაგინახავდეს.

პიტერი *(არ ინძრევა და ტირილს იწყებს)*: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

ჯერი *(უფრო დასუსტებულია, სადაცაა მოკვდება)*: აღარასოდეს მოხვიდე აქ, პიტერ; ეს აღარ არის შენი ადგილი და სკამიც დაკარგე, მაგრამ შეინარჩუნე ღირსება, რადგან ცხოველი ხარ და არა ბალახი. გახსოვდეს ეს, მაგრამ ახლა გაიქეცი. იჩქარე, პიტერ!
(ჯერი იღებს ცხვირსახოცს და დიდი გაჭირვებით, ტკივილისგან

მოკრუნჩხული, წმენდს დანას, რათა თითის ანაბეჭდები მოაშოროს). გაიქეცი, ნუღარ აყოვნებ.
(პიტერი ბარბაცით ცდილობს, გაეცალოს იქაურობას). მოიცადე, პიტერ... წიგნი გრჩება... სკამზე... შენს სკამზე... ახლა უკვე ჩემს სკამზე... აი იქ... აიღე და მოუსვი აქედან... ჩქარა...
(პიტერი წიგნის ასაღებად გაიწევს, მაგრამ ყოყმანობს).
ჩქარა, პიტერ!
(პიტერი მიდის სკამთან, იღებს წიგნს და უკან იხევს).
ესეც ასე... ძალიან კარგი... ახლა მოკურცხლე აქედან... სწრაფად!
(პიტერი ცოტა ხანს ყოყმანობს, მერე კი თავქუდმოგლეჯილი გარბის მარცხნივ).
იჩქარე, პიტერ... (ჯერის თვალები დახუჭული აქვს) იჩქარე შენს თუთიყუშებთან... სადილად რომ გელოდებიან და ფისუნიებთან... უკვე სუფრას რომ შლიან...

პიტერი *(სცენის მიღმა მისი საცოდავი ღმუილი ისმის)*: ღმერთო ჩემო!

ჯერი *(თვალები კვლავ დახუჭული აქვს, თავს აქნევს და ლაპარაკობს; ცდილობს, პიტერს გამოაჯავროს, მაგრამ ამასთან ერთად, მის ხმაში ვედრებაც ისმის)*: ოჰ, ღმერთო... ღმერთო ჩემო...
(ჯერი კვდება).

ფარდა